

ძირითადი საკმეოანობა

სს „სუში მანია“ (ს/კ 405252471) (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2018 წლის 7 თებერვალს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცვევიჩის ქუჩისა და კუტუხოვის ქუჩის კუთხე N 19.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რესტორნები და საკვებით მომსახურება

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აღდტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	01.01.2022	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	55 930	100 552
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	128	2128
ჯამურად ნაღდი ფული ბანკში	56 058	102 680
ნაღდი ფული სალაროში	24 579	4 636
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	24 579	4 636
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	80 637	107 316

საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

საგაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. სააგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	01.01.2022	31.12.2022
საგაჭრო მოთხოვნები	35 689	88 995
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შ	0	0
სულ მიმდინარე მოთხოვნები	35 689	88 995

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხვული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	01.01.2022	31.12.2022
საგაჭრო საქონელი	182 704	122 656
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	182 704	122 656

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საქსპლუტაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
• კომპიუტერული ტექნიკა	5
• კავშირგაბმულობის მოწყობილობები	5
• სატრანსპორტო საშუალებები	10
• სატრანსპორტო საშუალებები (მოპედი)	3
• ინვენტარი	5
• მანქანა-დანადგარები	5
• ელექტრო მოწყობილობები	5
• ელექტროგადამცემის მოწყობილობები	5
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7

საწყისი ღირებულება

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერ ული ტექნიკა	კავშირგაბმ ულობის მოწყობილ ობები	სატრანსპო რტო საშუალებებ ი	ინვენტარი	მანქანა- დანადგარე ბი	ელექტრო მოწყობილ ობები	ელექტროგად ამცემის მოწყობილობ ები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა
ბალანსი 01/01/2022	76 081	72 287	4 108	84 332	49 584	219 842	86 547	7 828	63 984
აკუმულირებული ცვეთა	-28 105	-38 429	-2 163	-8 371	-23 375	-108 562	-34 237	-4 262	-15 988
ბალანსი 01/01/2022	47 976	33 858	1 945	75 961	26 209	111 280	52 310	3 566	47 996
დანამატები	4 125	5 601	504		16 645	2 845	105 804		55 075
აქტივების ჩამოწერა					-2373				
ცვეთა პერიოდისათვის	-11210	-14 760	-857	-8 532	-10 930	-44 291	-23 342	-1566	-17 740
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა					1042				
ბალანსი 31/12/2021	40 891	24 699	1 592	67 429	30 593	69 834	134 772	2 000	85 331
ბალანსი 31/12/2021	47 976	33 858	1 945	75 961	26 209	111 280	52 310	3 566	47 996
ბალანსი 31/12/2022	40 891	24 699	1 592	67 429	30 593	69 834	134 772	2 000	85 331

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

პროგრამული უზრუნველყოფა

საწყისი ღირებულება

ბალანსი 01/01/2021	36 773
აკუმულირებული ცვეთა	-12133
ბალანსი 01/01/2021	24 640
ცვეთა პერიოდისათვის	-3678
ბალანსი 31/12/2021	20 962
ბალანსი 01/01/2021	24 640

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

	01.01.2022	31.12.2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	241 699	226 194
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	103 632	140 835
საგადასახადო ვალდებულება	121 981	56 687
სულ მიმდინარე ვალდებულებები	467 312	423 716

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელობის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქტებზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანიზაციისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქტებზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქტებზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია თითოეული მათგანის შესაბამისი პროპორციის გამოთვლით.

შემოსავლი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქტის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედეგების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

31.12.2022

შემოსავლი რეალიზაციიდან

6 824 796

ფასდათმობა

გაყიდული მარაგის თვითღირებულება

-2 427 073

სულ წმინდა შემოსავალი

4 397 723

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	31.12.2022
დეზინფექციის ხარჯი	5 546
საწვავის ხარჯი	21 314
კომუნალური ხარჯი	194 597
საბანკო ხარჯი	33 153
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	1 347 053
რემონტის ხარჯი	72 240
სამეურნეო ხარჯი	68 380
პროგრამული უზრუნველყოფა	36 876
დაზღვევის ხარჯი	6 741
ობიექტის დაცვის ხარჯი	2 034
საკონსულტაციო ხარჯი	29 572
სპეც ტანსაცმლის ხარჯი	6 774
რეკლამის მომსახურების ხარჯი	75 049
სალარო აპარატურის მომსახურების ხარჯი	1 041
საკანცელარიო ხარჯი	9241
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	84236
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	1 993 847

დანართი N 1**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

	31.12.2021	31.12.2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივი		
ძირითადი საშუალებები	401 101	457 141
არამატერიალური აქტივები	24 640	20 962
სულ გრძელვადიანი აქტივები	425 741	478 103
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	182 704	122 656
საგაჭრო მოთხოვნები	35 689	88 995
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შ	0	0
ფული და ფულის ექვივალენტები	80 637	107 316
სულ მიმდინარე აქტივები	299 030	318 967
სულ აქტივები	724 771	797 070
კაპიტალი		
საემისიო შემოსავალი		
გაუნაწილებელი მოგება	-3 650 071	-3 218 514
სულ კაპიტალი	-3 650 071	#####

ვალდებულებები**გრძელვადიანი ვალდებულებები**

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3 907 530	3 591 867
--------------------------------	-----------	-----------

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	241 699	226 194
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	103 632	140 835
საგადასახადო ვალდებულებები	121 981	56 687
სულ მიმდინარე ვალდებულებები	467 312	423 716

სულ ვალდებულებები	4 374 842	4 015 583
--------------------------	------------------	------------------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი	724 771	797 069
--------------------------------------	----------------	----------------

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022

შემოსავლი რეალიზაციიდან	6 824 796
თვითღირებულება	-2 427 073

მთლიანი მოგება	4 397 723
-----------------------	------------------

ადმინისტრაციული ხარჯი	-1 993 847
ხელფასის ხარჯი	-1 712 823
საპროცენტო ხარჯი	-273 324
ცვეთის ხარჯი	-136 906
იჯარის ხარჯი	-267 422
სულ საოპერაციო ხარჯები	-4 384 322
საოპერაციო მოგება	13 401

მოგება-ზარალი საკუთსო სხვაობიდან	517 294
სხვა ღირებულება არასაოპერაციო შემოსავალი/ (ზარალი)	-99 137
სულ არა საოპერაციო მოგება/ზარალი	418 157

წმინდა მოგება	431 558
----------------------	----------------

სს სუში მანია

28.09.2023

დირექტორი: ნატო კამინსკაია

